წინ მიზნებისკენ!

სასწავლო თამაში

ითამაშე და ააშენე მომავალი

რესურსი თარგმნეს და მოამზადეს:

მაია ბლიაძე - გეოგრაფიის დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გეოგრაფიის ექსპერტი

მზია ბერაძე - სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდრის საჯარო სკოლის ინგლისური ენისა და ისტ-ის წამყვანი მასწავლებელი

მდგრადი განვითარების 17 გლობალური მიზანი ემსახურება სიღარიბის აღმოფხვრას,

ჩვენი პლანეტის დაცვას და

ყველასათვის კეთილდღეობის უზრუნველყოფას.

ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ ადამიანებს, გააცნობიერონ თავიანთი როლი ჩვენი პლანეტის მომავლის მშენებლობაში როგორც ინდივიდებმა და როგორც გუნდის მოთამაშეებმა. რაც მთავარია, როგორც პასუხისმგებელმა გლობალურმა მოქალაქეებმა.

იმისათვის, რომ ავაშენოთ უკეთესი სამყარო ყველასთვის და პლანეტისთვის, 2015 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები (193 ქვეყანა) შეთანხმდნენ, რომ მაქსიმალურად იზრუნებენ, 2030 წლისთვის მიღწეული იქნეს მდგრადი განვითარების 17-ვე მიზანი (SDGs).

მეტად მნიშვნელოვანია, ახალგაზრდა თაობები, მთავარი მოთამაშეები იყვნენ ნათელი მომავლისკენ მიმავალ გზაზე. სწორედ ესაა თამაშის „წინ მიზნებისკენ“ («Go Goals!) იდეაც, რომელიც 10-15 წლის ბავშვებისთვის არის განკუთვნილი. ეს არის სახალისო და საინტერესო თამაში, რომელიც ბავშვებს აცნობს მდგრადი განვითარების მიზნებს და, ამავდროულად, მოტივაციას უღვიძებს, აქტიურად ჩაერთონ მათ განხორციელებაში.

რა თქმა უნდა, თქვენი, როგორც მასწავლებლის როლი, აქაც გადამწყვეტია! სწორედ თქვენნაირი ადამიანების დახმარებით თქვენი ოჯახი, მეგობრები და საზოგადოება, თითოეული ჩვენგანი შევძლებთ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას. გახსოვდეთ, რომ სულ პატარა ნაბიჯებიც კი დაგვეხმარება დიდი შედეგების მიღწევაში, თუკი ამ პროცესში მილიონობით ადამიანი ჩაერთვება მთელი მსოფლიოს მასშტაბით!

ვიმედოვნებთ, რომ მოგეწონებათ ეს თამაში!

თამაშის წესებს გაეცნობით ქვემოთ.

რესურსის ინგლისურენოვანი ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე -

https://www.un.org/en/actnow/ten-actions-world-working-together

როგორ შევიტანოთ ჩვენი წვლილი მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაში?

უნდა გვახსოვდეს და გვჯეროდეს, რომ ცვლილებები იწყება ჩვენით.

უნდა დავრწმუნდეთ, რომ კარგად ვართ ინფორმირებულნი გლობალური პრობლემების მიზეზებისა და მათი გადაჭრის შესაძლო გზების შესახებ.

მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ პოზიტიური ქმედებების განხორციელებას ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში: ეს შეიძლება იყოს კონსტრუქციული საუბრები ჩვენი ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და საზოგადოებასთან, სხვადასხვა ორგანიზაციასთან;

გმადლობთ, რომ ცდილობთ სამყარო უკეთესი გახადოთ!

თამაშის წესები

თამაშში მონაწილეობს 4-6 მოთამაშე. თამაშის დრო: 30-40 წუთი

1. სათამაშო დაფაზე 63 უჯრაა. მოთამაშეები, კამათლის აგდების შედეგად დაფიქსირებული ციფრის მიხედვით, ამ უჯრებზე გადაადგილდებიან.

2. თითოეული მოთამაშე თავის ჟეტონს ათავსებს წრეში„სტარტი“.

3. მოთამაშეები რიგრიგობით ისვრიან კამათელს და თავის ჟეტონებს კამათელზე ნაჩვენები ციფრის მიხედვით გადააადგილებენ.

4. თუ მოთამაშე კიბის ბოლოში აღმოჩნდება, მას შეუძლია, მაშინვე ავიდეს ზევით. თუ მოთამაშე წყლის სასრიალოს თავზე აღმოჩნდება, ის გადადის სასრიალოს ქვედა ნაწილში.

5. თუ მოთამაშე მდგრადი განვითარების მიზნების (1-17) ველზე ხვდება (ანუ რომელიმე მიზანის აღმნიშვნელ წრეში), მას შეუძლია ბარათების დასტიდან აიღოს ბარათი ამ მიზნის ნომრით. სხვა რომელიმე მოთამაშე ამ ბარათზე მოცემულ კითხვას კითხულობს. იმ შემთხვევაში, თუ მოთამაშე სწორად უპასუხებს დასმულ შეკითხვას მას შეუძლია, კამათელი კიდევ ერთხელ ისროლოს.

6. ის მოთამაშეა გამარჯვებული, რომელიც პირველი მიაღწევს მიზნების ველზე "2030"-ს. თუ მოთამაშე აგდებს საჭირო ნომერს, იგი გადადის ველზე „2030“, ხოლო შემდეგ უკან ბრუნდება დამატებით უჯრებზე.

რა დაგჭირდება:

1. A4 და A3 ფორმატის ფერადი ფურცლები;

3. მაკრატელი;

4. წებო ან წებოვანი ლენტი;

5. ფერადი კალმები/მარკერები/ფლომასტერები.

თამაშისთვის მასალების მომზადება

1. ამოჭერით კამათელი და სათამაშო ჟეტონები (იხ. ნიმუში);

2. გააფერადეთ თქვენი ჟეტონი;

3. წებოთი დააწებეთ კამათლები და სათამაშო ჟეტონები;

4. დაჭერით სათამაშო ბარათები.



სათამაშო კამათელი და ჟეტონები



სათამაშო ჟეტონები



სათამაშო დაფა



სათამაშო ბარათები

ვარიანტი N1

1 არა სიღარიბეს

რამდენი წლით აფერხებს სიღარიბის დონის შემცირებას კლიმატის ცვლილება:
ა. 10 წელი
ბ. 25 წელი
გ. 50 წელი

2 ნულოვანი შიმშილი

რა რაოდენობის საკვები ნარჩენი რჩება მსოფლიოში მთელი წლის განმავლობაში:
ა. ათასი ტონა
ბ. მილიონი ტონა
გ. მილიარდი ტონა

3 ჯანსაღი ცხოვრება და კეთილდღეობა

ჩამოთვლილთაგან რა იწვევს დაავადებების გავრცელებას:
ა. მოსახლეობის მიგრაცია
ბ. გაუტყიურება და გარემოს გამოყენების ცვლილება
გ. გადაცდომები კვლევით ლაბორატორიებში

4 ხარისხიანი განათლება

რაში შეიძლება გადაცვლოს ინდოეთში ოჯახმა შვილის სწავლის გადასახადის საფასური:
ა. მინის ბოთლებში
ბ. ორგანული ნარჩენებისგან დამზადებულ კომპოსტში
გ. პლასტმასის ნარჩენებში

5 გენდერული უთანასწორობა

მსოფლიოში ქალების რამდენი % ფლობს საკუთარ ფერმას:
ა. 52%
ბ. 13%
გ. 75%

6 სუფთა წყალი და სანიტარია

სუფთა წლის რამდენი %-ია იყო საჭირო 2020 წელს მოსავლის მისაღებად და პროდუქციის საწარმოებლად:
ა. 25%
ბ. 55%
გ. 75%.

7 ხელმისაწვდომი და სუფთა ენერგია

კლიმატის ცვლილების პროცესში, მთავარი კონტრიბუტორი ენერგიაა, რადგან იგი აწარმოებს:
ა. სათბური აირების 30%-ს
ბ. სათბური აირების 50% -ს
გ. სათბური აირების 60%-ს

8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

რომელი სექტორი მოახდენს 2030 წლისთვის ყველაზე დიდ გავლენას ტემპერატურის ზრდასა და კლიმატის ცვლილებაზე:
ა. სოფლის მეურნეობა;
ბ. ტურიზმი;
გ. მშენებლობა

9 წარმოება, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

2019 წელს განვითარებულმა ქვეყნებმა 130 მლრდ დოლარის ინვესტიცია მოახდინეს განახლებად ენერგიაში, რამდენი ინვესტიცია ჩადეს მათ განვითარებად ქვეყნებში?
ა. 25 მილიარდი დოლარი
ბ. 50 მილიარდი დოლარი
გ. 150 მილიარდი დოლარი

10 შემცირებული უთანასწორობა

რატომ არის ღარიბი ხალხი უფრო მოწყვლადი ბუნებრივი კატასტროფების მიმართ?
ა. რადგან პირველ რიგში უფრო მდიდარ ხალხს იცავენ
ბ. რადგან ისინი სანაპირო ზონებში ცხოვრობენ
გ.რადგან ღარიბ ადამიანებს დიდი ოჯახები ყავთ და მათი ევაკუაცია ძალიან რთულია.

11 მდგრადი ქალქები და დასახლებები

რა არის ოკეანიქსი?
ა. კომიქსის პერსონაჟი, რომელიც გაერომ ოკენეების დასაცავად შექმნა
ბ. ზღვის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
გ. მცურავი ქალაქი, რომელიც შეიძლება გამოსავალი აღმოჩნდეს კლიმატის ცვლილებისას

12 მდგრადი მოხმარება და წარმოება

დედამიწის დავალიანების დღე ის დღეა, როცა საზოგადოებას განახლებადი ბუნებრივი რესურსების ბიუჯეტი ამოწურული აქვს. ასეთი დღე 2023 წელს ნოემბერში იყო. როდის დადგა ეს დღე 2024 წელს:
ა. 31 დეკემბერს
ბ. 27 სექტემბერს
გ. 2 აგვისტოს

13 იმოქმედე კლიმატისთვის

რამდენი % ჩაიდო კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციაში ბოლო წლების განმავლობაში:
ა. 35%
ბ. 15%
გ. 55%

14 წყალქვეშა სამყარო

ოკეანეს "პლანეტის კუნთებს" უწოდებენ, რადგან:
ა. ტალღების მოძრაობა ადამიანის სუნთქვის დინამიკის მსგავსია
ბ. დედამიწის ჟანგბადის ნახევარს პლანქტონი აწარმოებს
გ. ოკეანე ჟანგბადს ზღვის ბინადრებისთვის აწარმოებს

15 სიცოცხლე ხმელეთზე

მსოფლიოში რამდენი ადამიანისთვისაა ტყე შემოსავლის წყარო:
ა. 5-დან 1-სთვის
ბ. 50-დან 1-სთვის
გ. 500-დან 1-სთვის

16 მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები

მთავრობისა და კერძო კომპანიების კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ უმოქმედობას ეხება, სულ უფრო მატულობს. რამდენი ასეთი შემთხვევა იყო მსოფლიოში 2020 წელს:
ა. 1550
ბ. 155
გ. 15

17 პრატნიორობა მიზნების მიღწევისთვის

რას საქმიანობს COP-ი?
ა. ატარებს საჯარო კონფერენციებს
ბ. ცდილობს მსოფლიო პოლიტიკის ცვლილებას
გ. ატარებს კლიმატის ცვლილებისადმი მიძღვნილ კონფერენციებს

SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS

ვარიანტი N2

1 არა სიღარიბეს

2030 წელს კლიმატის ცვლილების გამო რამდენ ადამიანს შეიძლება მოუწიოს სიღარიბეში ცხოვრება:

ა) 12 მილიონი
ბ) 120 მლნ
გ) 1,2 მლნ

2 ნულოვანი შიმშილი

ნაკლები ხორცი უნდა ვჭამოთ, რადგან:

ა) ხორცის მრეწველობა ერთ-ერთი წამყვანია CO_2 ემისიებში
ბ) ხორცის მრეწველობა არ იხდის გადასახადს
გ) ხორცის მრეწველობა არ არის საკმარისად პროდუქტიული

3 ჯანსაღი ცხოვრება და კეთილდღეობა

ჰაერის დაბინძურება მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი პრობლემაა და მის გამო ყოველწლიურად იღუპება:

ა) 50- დან 1 ადამიანი
ბ) 900-დან 1 ადამიანი
გ) 9-დან 1 ადამიანი

4 ხარისხიანი განათლება

კლიმატის ცვლილების შესახებ განათლება მიზნად ისახავს:

ა) დახმარება გაუწიოს წყალდიდობისგან დაზარალებულ სკოლებს
ბ) განახლებადი ენერგიის წარმოების გაზრდა სკოლებში
გ) კლიმატის შესახებ ცნობიერების ამაღლება

5 გენდერული უთანასწორობა

რატომ არიან ქალები კლიმატის ცვლილების მიმართ უფრო მოწყვლადი, ვიდრე მამაკაცები:

ა) იმიტომ რომ უფრო სუსტები არიან
ბ) იმიტომ, რომ მათ არ აქვთ სადაზღვევო პოლისები
გ) იმიტომ რომ ისინი უმეტესად მინდვრებში მუშაობენ

6 სუფთა წყალი და სანიტარია

დადგენილია, რომ ინდივიდს დღეში 50-დან 100 ლიტრამდე წყალი სჭირდება. რამდენია წყლის საშუალო დღიური მოხმარება მალიში?

ა) 11 ლიტრი
ბ) 21 ლიტრი
გ) 51 ლიტრი

7 ხელმისაწვდომი და სუფთა ენერგია

რომელი ქვეყანა იყენებს 100% განახლებად ენერგიას?

ა) ისლანდია
ბ) კოსტა რიკა
გ) ბურკინა-ფასო

8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

ეკონომიკის დაბალ სათბურის აირების ემისიებზე გადასვლა სავარაუდოდ გამოიწვევს:

ა) სამუშაო ადგილების 15%-ით შემცირებას
ბ) ახალი სამუშაო ადგილების შექმნას
გ) სამუშაო ადგილების 30%-ით შემცირებას

9 წარმოება, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

სამშენებლო ინდუსტრია ენერგიის ერთ-ერთი უდიდესი მომხმარებელია მსოფლიოში. გლობალური ენერგიის რამდენ %-ს იყენებს ეს სექტორი:

ა) 20%-ს
ბ) 40%-ს
გ) 50%-ს

10 შემცირებული უთანასწორობა

რას ნიშნავს "კლიმატის უთანასწორობა"?
ა) ულარიბესი ქვეყნები სარგებელს მიიღებენ ტემპერატურის მატების გამო
ბ) ყველა ქვეყანაში არ არის ერთნაირი ტემპერატურა
გ) ქვეყნებს, რომლებიც ყველაზე მეტად ზარალდებიან ტემპერატურის მატებით, ყველაზე ნაკლები წვლილი აქვთ ამ პრობლემაში.

11 მდგრადი ქალაქები და დასახლებები

რა არის ურბანული სითბოს კუნძულების ეფექტი?
ა. ურბანულ არეებში სითბოს გავლენა უფრო მეტია ვიდრე საგარეუბნო ზონებში
ბ. საქალაქო მოსახლეობა უფრო მეტ სითბოს იყენებს და უფრო მეტ ენერგიას ხარჯავს თავიანთ სახლებში.
გ. ქალაქებს უფრო მეტი ინფრასტრუქტურა აქვთ სითბურ ტალღებთან გასამკლავებლად.

12 მდგრადი მოხმარება და წარმოება

UNEP-ის მიხედვით კოვიდ პანდემიის განმავლობაში გამოყენებული ერთჯერადი პირბადეების რამდენი % იქნა გადაყრილი გარემოში:
ა. არც ერთი;
ბ. მათი ნახევარი
გ. 75%

13 იმოქმედე კლიმატისთვის

1990 წლიდან დღემდე რამდენი %-ით გაიზარდა ნახშირბადის დიოქსიდის გლობალური ემისია:

ა. 10%
ბ. 22%
გ. 50%

14 წყალქვეშა სამყარო

რამდენი %-ით გაიზარდა 1950-2016 წლებში გლობალური თევზჭერა:

ა. თითქმის 100%-ით
ბ. დაახლოებით 200%-ით
გ. 400%-ზე მეტით

15 სიცოცხლე ხმელეთზე

რატომ არის ფუტკარი მნიშვნელოვანი დედამიწაზე:
ა. მათი დახმარებით ხდება ხილის, ბოსტნეულისა და მარცვლეულის "წარმოება".
ბ. მათი ფრენის სიჩქარე მიგვანიშნებს მოსალოდნელ ძლიერ ქარზე
გ. ისინი ამზადებენ თაფლს, მაღალი ხარისხის საკვებს სხვადასხვა გემოთი.

16 მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები

2017 წლიდან მოყოლებული კლიმატთან დაკავშირებული საკანონმდებლო გადაწყვეტილებების რაოდენობა:
ა. შემცირდა
ბ. არ შეცვლილა
გ. გაორმაგდა

17 პრატნიორობა მიზნების მიღწევისთვის

რა არის 2015 წლის პარიზის ხელშეკრულების მთავარი მიზანი:
ა. საუკუნის ბოლოს პლასტმასის წარმოების განახევრება
ბ. XXI საუკუნეში გლობალური ტემპერატურის 1,5-დან 2 გრადუსამდე ზრდის შენარჩუნება და პრეინდუსტრიულ დონესთან გათანაბრება .
გ. ინვესტიციების ზრდა ისეთი ინფრასტრუქტურების დანერგვაში, რომლებიც შეამცირებენ ბუნებრივ კატასტროფებს.

SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS

ვარიანტი N3

1 არა სიღარიბეს

ღარიბ ქვეყნებში, კლიმატის ცვლილების გამო მილიონობით ადამიანი კიდევ უფრო ღარიბდება, რადგან:
ა. მცირდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობები და იზრდება ფასები საკვებზე
ბ. მთავრობები გადაერთვნენ მწვანე ეკონომიკაზე
გ. დაეცა ფასები ნავთობზე.

2 ნულოვანი შიმშილი

2020 წელს რამდენი ადამიანი დადგა სასურსათო პრობლემის წინაშე კონფლიქტების, ეკონომიკური კრიზისებისა და კლიმატის ცვლილების გამო:
ა. 55 მილიონი
ბ. 155 მილიონი
გ. 5 მილიონი

3 ჯანსაღი ცხოვრება და კეთილდღეობა

რა კავშირია გლობალურ დათბობასა და მწერებისგან გამოწვეული დაავადებების გავრცელებას შორის:
ა. ტემპერატურის სწრაფი ზრდა ზრდის კოლოების კბენის დონეს
ბ. გვალვა ხელს უწყობს დაავადებების ახალ არეალებში გავრცელებას
გ. ტემპერატურის ზრდა აჩქარებს პარაზიტების გამრავლების პროცესს.

4 ხარისხიანი განათლება

განათლება გადამწყვეტ როლს ასრულებს კლიმატის ცვლილების პროცესში, რადგან:
ა. ის ეხმარება ადამიანებს გაიაზრონ კლიმატის ცვლილების არსი და მზარს უჭერს განახორციელონ შესაბამისი ქმედებები.
ბ. განათლებულ ადამიანს უფრო მარტივად შეუძლია მიგრაცია და კლიმატის ცვლილებების გავლენისგან თავის დაღწევა.
გ. განათლება იძლევა დასაქმების უფრო მეტ შესაძლებლობას

5 გენდერული უთანასწორობა

რომელ წელს მიიჩნია კომისიამ, რომ კლიმატური ცვლილებები იწვევს ქალთა გენდერულ უთანასწრობას:
ა. 1998
ბ. 2004
გ. 2008

6 სუფთა წყალი და სანიტარია

დადგენილია რომ 1 ადამიანს დღეში 50-დან 100 ლიტრამდე წყალი სჭირდება. რამდენია წყლის საშუალო დღიური მოხმარება აშშ-ში?
ა. დაახლოებით 100 ლიტრი
ბ. დაახლოებიოთ 250 ლიტრი
გ. დაახლოებით 600 ლიტრი

7 ხელმისაწვდომი და სუფთა ენერგია

რას აკეთებენ ქვეყნები განახლებადი ენერგიის წარმოებისთვის:
ა. ისინი წელიწადში საწვავი წიაღისეულის 1 ტონაზე 5.2 ტრლნ $ -ის სუბსიდირებას ახდენენ
ბ.ბოლო 5 წელიწადში მათ გაანახევრეს ქარის სადგურების ინვესტიცია
გ. ისინი არ ეთანხმებიან ბიომასის ენერგიის სარგებელს

8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

დაახლოებით რამდენ "მწვანე" პროფესიას ქმნის ტყეები მსოფლიოში:
ა. 450 000
ბ. 9 მილიონი
გ. 90 მილიონი

9 წარმოება, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

მონაცემთა ცენტრი, რომელიც ინტერნეტქსელის ბაზაა საშუალოდ იმდენ ენერგიას იყენებს, რამდენსაც:
ა. ქალაქი 5 000 მცხოვრებით
ბ. ქალაქი 50 000 მცხოვრებით
გ. ქალაქი 500 000 მცხოვრებით

10 შემცირებული უთანასწორობა

მსოფლიო სიმდიდრის რამდენ %-ს ფლობს მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ადამიანების 1%?

ა) 13.3%
ბ) 23.3%
გ) 43,3%

11 მდგრადი ქალაქები და დასახლებები

ქალაქებს დედამიწის ზედაპირის 2%-ზე ნაკლები უკავიათ. მსოფლიოში წარმოებული ენერგიის რამდენს %-ს მოიხმარენ ისინი:

ა) 38%
ბ) 48%
გ) 78%

12 მდგრადი მოხმარება და წარმოება

მდგრადია თუ არა იაფი/სწრაფი მოდა:

ა) არა იმიტომ, რომ ყველას იაფი ტანსაცმელი აცვია
ბ) არა, რადგან დიდი რაოდენობით წყალს იყენებს და თან გარემოს აბინძურებს
გ) დიახ, რადგან ის აწარმოებს იაფ ტანსაცმელი ყველასთვის

13 იმოქმედე კლიმატისთვის

რა არის სათბურის აირი?

ა. აირი, რომელიც ატმოსფეროში მოხვედრისას მწვანდება
ბ. აირი, რომელიც ენერგოეფექტურ სახლში წარმოიქმნება
გ. აირი, რომელიც იჭერს სითბოს დედამიწას ატმოსფეროში და იწვევს სათბურის ეფექტს.

14 წყალქვეშა სამყარო

რა ფერის ხდებიან მარჯნის რიფები მაღალი ტემპერატურის ან დაბინძურების შედეგად:

ა.შავი
ბ. თეთრი
გ. ნაცრისფერი

15 სიცოცხლე ხმელეთზე

რამდენი სახეობა იმყოფება გადაშენების პირას:

ა.10 000
ბ. 100 000
გ. 1 000 000

16 მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები

რაში მდგომარეობს მთავრობებისა და კომპანიების წინააღმდეგ მიმართული კლიმატთან დაკავშირებული კანონების დანიშნულება:

ა. მოითხოვს ფინანსურ კომპენსაციას დაზარალებულისთვის
ბ. არწმუნებს მთავარ მოქმედ აქტორებს მიიღონ ზომები კლიმატის ცვლილების გამო მიტიგაციისა და ადაპტაციის მისაღწევად
გ. ცვლის მათ ლიდერებსა და მენეჯერებს

17 პრატნიორობა მიზნების მიღწევისთვის

რომელმა ქვეყანამ მოაწერა ხელი აშშ-ს 150 მლნ დოლარიან შეთანხმებას, მხარი დაეჭირათ გაბონში ტყეების დაცულ ტერიტორიად გამოცხადებას, რათა შეემცირებინა ნახშირბადის ემისია:

ა. ნორვეგია
ბ. აფრიკის კავშირმა
დ. ბრაზილიამ

SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS

ვარიანტი N4

1 არა სიღარიბეს

რას გულისხმობს გამძლეობის კონცეფცია კლიმატის ცვლილების კონტექსტში:
ა. კლიმატის ცვლილების შედეგების მიმღებლობას
ბ. კლიმატის ცვლილების შედეგების გამოვლენას, მომზადებას და შემხვედრი ზომების განხორციელებას
გ. ქვეყნების საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭრას

2 ნულოვანი შიმშილი

მსოფლიო მოსახლეობის რამდენ % -ზე ახდენს გავლენას ნიადაგის დაბინძურება, მარცვლეული კულტურების სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შემცირება ან ამ სავარგულების არამიზნობრივი გამოყენება:
ა. 20%
ბ. 40%
გ. 50%

3 ჯანსაღი ცხოვრება და კეთილდღეობა

რას შეუძლია შენი ჯანმრთელობის გაუმჯობესება და ამავდროულად კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლა:
ა. ელექტრომობილით გადაადგილებას
ბ. ფეხით სეირნობას ან ველოსიპედის ტარებას
გ. კომპრესიული წინდების ტარებას ხანგრძლივი ფრენის დროს

4 ხარისხიანი განათლება

რა გავლენას ახდენს კლიმატის ცვლილება განათლებაზე:
ა. მოსწავლეები აცდენენ სკოლას რომ შეუერთდნენ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ პროტესტს
ბ. ექსტრემალური ამინდი ანადგურებს ან აზიანებს სკოლის შენობებს
გ. დაზარალებული ქვეყნების მასწავლებელთა დიდი რაოდენობა ხდება კლიმატური მიგრანტი

5 გენდერული უთანასწორობა

2019 წელს გაეროს უშიშროების საბჭოს დებატებზე რამდენმა ქვეყანამ გაუსვა ხაზი გენდერის მნიშვნელობას კლიმატთან დაკავშირებული უსაფრთხოების რისკების საპასუხოდ:
ა. 75-დან 5-მა
ბ. 75-დან 32-მა
გ. 75-დან 58-მა

6 სუფთა წყალი და სანიტარია

2050 წლისთვის რამდენი ადამიანი იცხოვრებს იმ არეალებში, სადაც იქნება წყალის უკმარისობა წლის განმავლობაში მინიმუმ 1 თვე:
ა. 57 მილიონზე მეტი
ბ. 570 მილიონზე მეტი
გ. 5.7 მილიარდზე მეტი

7 ხელმისაწვდომი და სუფთა ენერგია

ვის ეკუთვნის სიტყვები: "კაცობრიობამ შესაძლოა შეწყვიტოს არსებობა ქვანახშირის მოპოვებაზე დამოკიდებულების" გამო":
ა. ანტონიო გუტერაში, გაეროს გენერალური მდივანი
ბ. გრეტა თუნბერგი, კლიმატის აქტივისტი
გ. ტედროს ადანომ გებრეისუსი, ჯანმოს ხელმძღვანელი

8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

რა არის მწვანე პროფესია:
ა. პროფესია, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას დავიცვათ ან აღვადგინოთ გარემო
ბ. პროფესია, რომელიც ტყის მენეჯმენტთანაა დაკავშირებული
გ. პროფესია, რომელიც მხოლოდ ბაღში სივრცეში მუშაობას გულისხმობს

9 წარმოება, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

რა არის წრიული ეკონომიკა
ა. მასალები და პროდუქცია, რომელიც მთელ დედამიწაზე ბრუნავს
ბ. მასალები და პროდუქცია, რომელიც შეიქმნა და გაიყიდა სულ მცირე 4 კონტინენტზე
გ. მასალები და პროდუქცია, რომელიც შეიძლება ხელახლა იქნეს გამოყენებული ან გადამუშავდეს და შესაბამისად დარჩეს ეკონომიკაში იმდენი ხნის განმავლობაში, რამდენიც შესაძლებელია.

10 შემცირებული უთანასწორობა

რა ეკონომიკურ სარგებელს გვაძლევს კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაცია:
ა. ასტიმულირებს ინვესტიციებსა და ინოვაციებს და ქმნის სამუშაო ადგილებს;
ბ. ქმნის ციფრული ბიზნესისგან მეტი მოგების მიღების შესაძლებლობას
გ. ამცირებს მსოფლიო მოსახლეობას

11 მდგრადი ქალაქები და დასახლებები

დღეს მსოფლიო მოსახლეობის 55% ქალაქებსა და დაბებში ცხოვრობს. რამდენი იქნება ურბანიზაციის დონე 2055 წელს:
ა. 90%
ბ. 70%
გ. 60%

12 მდგრადი მოხმარება და წარმოება

გლობალური ვიდეოგადაცემები წელიწადში 300 მლნ ტონა CO2-ს გამოყოფს. რომელი ქვეყნის მიერ გამოყოფილი სათბური აირების ემისიის ექვივალენტის ეს:
ა. სუდანი
ბ. ესპანეთი
გ. საფრანგეთი

13 იმოქმედე კლიმატისთვის

რა ჰქვია იმ სათბურის აირს რომელიც 75%-ით პასუხისმგებელია სათბურის ეფექტზე:
ა. ნახშირბადის დიოქსიდი CO2
ბ. ქლორი
გ. აზოტის ოქსიდი

14 წყალქვეშა სამყარო

როგორ გვეხმარება ოკეანე შევარბილოთ კლიმატის ცვლილება:
ა. წყლის აორთქლება ამცირებს ატმოსფეროს ტემპერატურას
ბ. ოკეანეები ადამიანის მიერ გამოყოფილ CO2-ის 23%-ს შთანთქვს
გ. ოკეანის წყალი ირეკლავს მზის სხივებს.

15 სიცოცხლე ხმელეთზე

რა გავლენას ახდენს კლიმატის ცვლილება შოკოლადზე?
ა. კაკაოს მარცვლები უფრო ცხელი იქნება
ბ. მცენარე კაკაო შეიძლება გადაშენდეს თუ გლობალური დათბობა არ შემცირდება
გ. შოკოლადის წარმოება გამარტივდება მაღალი ტემპერატურის გამო

16 მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები

რატომ მიიჩნევა კლიმატის ცვლილება "მრავალმხრივ მუქარად" კონფლიქტურ სიტუაციებში:
ა. რადგან "ცხელ" გარემოში ხალხი უფრო ბრძოლისუნარიანია ბუნებრივი კატასტროფების წინააღმდეგ
ბ. რადგან კონფლიქტის გამწვავების დროს კლიმატის ცვლილების შედეგებმა შეიძლება გადაფაროს არსებული დაძაბულობა.
გ. რადგან ის არის ქვეყნებს შორის დაძაბულების მიზეზი

17 პრატნიორობა მიზნების მიღწევისთვის

გლობალურ დათბობასთან მიმართებით თითოეულ ქვეყანა ვალდებულია განსაზღვროს "ეროვნული სამოქმედო გეგმა", რომელიც უნდა გადაიხედოს:
ა. ყოველ 3 წელიწადში
ბ. ყოველ 5 წელიწადში
გ. ყოველ 10 წელიწადში

SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS

ვარიანტი N5

1 არა სიღარიბეს

რა ითვლება უკიდურეს სიღარიბედ მსოფლიოს ბანკის მიხედვით"
ა. ცხოვრება დღეში 1.94 $-ზე ნაკლები თანხით
ბ. კვირის განმავლობაში დღიური საკვების შემცირება
გ. დაუსაქმებლად ყოფნა

2 ნულოვანი შიმშილი

რამდენ%-ს შეადგენს გლობალური სათბურის აირების ემისია გლობალური საკვები ნარჩენებისგან:
ა. 0,5%
ბ. 2%
გ. 8%.

3 ჯანსაღი ცხოვრება და კეთილდღეობა

რა რაოდენობით პლასტმასის ნაწილაკებს ვშთანთქავთ ჩვენ ყოველ კვირას გარემოს პლასტმასით დაბინძურების გამო:
ა. კალმის თავსახურის ეკვივალენტს:
ბ. საბანკო ბარათის ეკვივალენტს;
გ. 1 ლიტრიანი წყლის ბოთლის ეკვივალენტს

4 ხარისხიანი განათლება

გაეროს რომელი ორგანიზაციაა პასუხისმგებელი "განათლება კლიმატის ქმედებისთვის:
ა. იუნესკო (UNESCO) - გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია;
ბ. იუნისეფი (UNICEF) - ბავშვთა დაცვის ფონდი
გ. UNHCR - გაეროს ლტოლვილთა საგენტო

5 გენდერული უთანასწორობა

რატომ წარმართავენ სუდანში ქალები შინაური ცხოველების საძოვრებსა და წყლის ობიექტებზე გადაყვანას:
ა. კაცები უფრო მოწყვლადები არიან კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული დაავადებების მიმართ.
ბ.კაცები სამუშაოს საძებნელად მიდიან ემიგრაციაში, ხოლო ქალები სოფლებში რჩებიან
გ. ქალები უფრო მეტს საუბრობენ კლიმატის ცვლილებებით გამოწვეულ უსამართლობის შესახებ

6 სუფთა წყალი და სანიტარია

5 წლამდე ასაკის რამდენი ბავშვი იღუპება ყოველ დღე მსოფლიოში დიარეით, რაც წყლის დაბინძურებითა და სანიტარული სერვისების არ არსებობითაა გამოწვეული:
ა. დღეში 7 ბავშვი
ბ. დღეში 70 ბავშვი
გ. დღეში 700 ბავშვი

7 ხელმისაწვდომი და სუფთა ენერგია

ა. მცდელობას შემცირდეს სათბური აირების ემისები ან მოხდეს პრევენცია;
ბ. გამოვიყენოთ მწვანე და ტრადიციული ენერგიის წყაროები თანაბარი პროპორციით;
გ. უფრო მეტი აღდგენადი მდგრადი ენერგიის გამოყენებას.

8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

რა არის მწვანე ეკონომიკის მახასიათებლები:
ა. ნახშირბადის შემცირება, რესურსების დაზოგვა და სოციალური ინკლუზია;
ბ. ყველა სახის რესურსის მოპოვება, დაცული ტერიტორიებიდან;
გ. ორგანული მასალების სულ მცირე 50%-ით წარმოება.

9 წარმოება, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

რას ნიშნავს პოზიტიური ენერგიის მშენებლობა:
ა. მშენებლობა, რომელიც არ იყენებს გარეწყაროებს ენერგიის მისაღებად;
ბ. პირველადი ენერგიის მოხმარება ტოლია მშენებლობის პორცესში მოხმარებული ენერგიის;
გ. მშენებლობა რომელიც უქმნის მაცხოვრებლებს პოზიტიურობისა და მიზნობრიობის შეგრძნებას

10 შემცირებული უთანასწორობა

რა როლი აქვს ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვის "სპეციალურ წარმომადგენელს":
ა. დარწმუნებულია, რომ სუფთა და ჯანსაღი გარემო ადამიანის უფლებების დაცვის ნაწილია;
ბ. აღმოფხვრას კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ექსტრემალური სიღარიბე სხვადასხვა ქვეყანაში;
გ. მონაწილეობს კლიმატურ აქციებში როგორიცაა ხეების დარგვა, სანაპიროების დასუფთავება და სხვ.

11 მდგრადი ქალაქები და დასახლებები

რას ნიშნავს "15 წუთიანი ქალაქი"?
ა.ქალაქი, სადაც საბაზისო სერვისები ხელმისაწვდომია 15 წუთში ფეხით ან ველოსიპედით სიარულით
ბ. ქალაქი რომელიც 15 წუთშია აშენებული მდგრადი მასალებით;
გ. ქალაქი რომლიდანაც 15 წუთზე ნაკლები დროა საჭირო დედაქალაქამდე მისასვლელად.

12 მდგრადი მოხმარება და წარმოება

ვინ არის ვეგანი?
ა. ის ვინც არ ჭამს ცხოველურ პროდუქტებს;
ბ. ის ვინც იცავს რელიგიურ რწმენაზე დაფუძნებულ დიეტას;
გ. ის მინც არ მიიღთმევს ბროკოლს

13 იმოქმედე კლიმატისთვის

რა აროს კოპ -ი:
ა. გაეროს მიერ ორგანიზირებული რეგულარული ფორუმი, სადაც მიმდინარეობს დისკუსია კლიმატის პოლიტიკის შესახებ;
ბ. ესაა კვების მწარმოებლების ჯგუფი მთელი მსოფლიოდან;
გ. ყველაზე ძლიერ დაბინძურებული ქვეყნების პრეზიდენტების კონფერენცია.

14 წყალქვეშა სამყარო

ოკეანის პლასტმასით დაბინძურება უდიდესი გარემოსდაცვითი პრობლემაა. რამდენი პლასტმასის ბოთლი იყიდება მსოფლიოში:
ა. 1 მილიონი ყოველ დღე
ბ. 1 მილიონი საათში
გ. 1 მილიონი წუთში.

15 სიცოცხლე ხმელეთზე

რაა რის დეფორესტაციის (გაუტყიარების) მიზეზი:
ა. ქაღალდი, ავეჯი და სამშენებლო მასალა;
ბ. სასოფლო-სამეურნეო ექსპანსია (პალმის ზეთი, მეცხოვლეობის ფერმები და სოიო)
გ. ადამიანების მიერ ხელსაყრელი სივრცეების გამოყენება საცხოვრებლად

16 მშვიდოება, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები

ვინ არის მშვიდობის დამცველი?
ა. გაეროს იურისტები, რომლებიც გამოავლენენ კრიმინალს, კორუფციას და დამნაშავეებს გადასცემენ სასამართლოს;
ბ. გაეროს ჯარისკაცები და მოქალაქეები, რომლებიც მონიტორინგს უწევენ და აკვირდებიან სამშვიდობო პროცესებს კონფლიქტურ ზონებში;
გ. გაეროს დიპლომატები, რომლებიც აწარმოებენ მოლაპარაკებებს მეზობელ ქვეყნებს შორის.

17 პრატნიორობა მიზნების მიღწევისთვის

როდის გეგმავს საერთაშორისო საზოგადოება სათბური აირების ნულოვანი ემისების მიღწევას:
ა. 2079 წლისთვის
ბ. 2030 წლისთვის
გ. 2050 წლისთვის.

SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS

სათამაშო ბარათებზე მოცემული კითხვების პასუხები:

ვარიანტი N1.

1. გ. 50 წელი;
2. გ. მილიარდი ტონა;
3. ბ. გაუტყეურება და გარემოს გამოყენების ცვლილება;
4. ბ. ორგანული ნარჩენებისგან დამზადებულ კომპოსტში;
5. ბ. 13%;
6. გ. 75%;
7. გ. 60% ;
8. ა. სოფლის მეურნეობა;
9. გ. 50 მლრდ;
10. გ. იმიტომ, რომ ღარიბ ადამიანებს დიდი ოჯახები ჰყავთ და მათი ევაკუაცია ძალიან რთულია;
11. გ. მცურავი ქალაქი, რომელიც შეიძლება გამოსავალი აღმოჩნდეს კლიმატის ცვლილებისას;
12. გ. 2 აგვისტო;
13. ა. 35%;
14. ბ. დედამიწის ჟანგბადის ნახევარს პლანქტონი აწარმოებს;
15. ა. 5-დან 1-სთვის;
16. ა. 1550;
17. გ. ატარებს კლიმატის ცვლილებისადმი მიძღვნილ კონფერენციებს.

ვარიანტი N2

1. ბ. 120 მლნ;
2. ა. ხორცის მრეწველობა ერთ-ერთი წამყვანია დარგია CO2 ემისიებში;
3. გ. 9-დან 1 ადამიანი;
4. გ. კლიმატის შესახებ ცნობიერების ამაღლება;
5. გ. იმიტომ, რომ ისინი უმეტესად მინდვრებში მუშაობენ;
6. ა. 11 ლიტრი;
7. ა. ისლანდია;
8. ბ. ახალი სამუშაო ადგილების შექმნას;
9. ბ. 40%;
10. გ. ქვეყნებს, რომლებიც ყველაზე მეტად ზარალდებიან ტემპერატურის მატებით, ყველაზე ნაკლები წვლილი მიუძღვით ამ პრობლემის შექმნაში;
11. ა. ურბანულ არეებში სითბოს გავლენა უფრო მეტია, ვიდრე საგარეუბნო ზონებში;
12. გ. 75%;
13. გ. 50%;
14. გ. 400%-ზე მეტით;
15. ა. მათი დახმარებით ხდება ხილის, ბოსტნეულის, თხილეულისა და მარცვლეულის "წარმოება";
16. გ. გაორმაგდა;
17. ბ. ამ საუკუნის განმავლობაში გლობალური ტემპერატურის ზრდა 1,5-დან 2 გრადუსამდე შენარჩუნება და პრეინდუსტრიულ დონესთან გათანაბრება.

ვარიანტი N3

1. ა. მცირდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და იზრდება ფასები საკვებზე;
2. ბ. 155 მილიონი;
3. გ. ტემპერატურის ზრდა აჩქარებს პარაზიტების გამრავლების პროცესს;
4. ა. ის ეხმარება ადამიანებს გაიაზრონ კლიმატის ცვლილების არსი და მხარს უჭერს, განახორციელონ შესაბამისი ქმედებები;
5. გ. 2008;
6. გ. დაახლოებით 600 ლიტრი;
7. ა. ისინი წელიწადში საწვავი წიაღისეულის 1 ტონაზე 5.2 ტრილიონი დოლარის სუბსიდირებას ახდენენ;
8. ა. 450 000;
9. ბ. ქალაქი 50 000 მცხოვრებით;
10. გ. 43.3%;
11. გ. 78%-ს;
12. ბ. არა, რადგან დიდი რაოდენობით წყალს იყენებს და თან გარემოს აბინძურებს;
13. გ. აირი, რომელიც იჭერს სითბოს დედამიწის ატმოსფეროში და იწვევს სათბურის ეფექტს;
14. ბ. თეთრი;
15. ა. 10 000;
16. ბ. არწმუნებს მთავარ მოქმედ აქტორებს, მიიღონ ზომები კლიმატის ცვლილების გამო მიტიგაციისა და ადაპტაციის მიღწევაში;
17. ა. ნორვეგია.

ვარიანტი N4

1. ბ. კლიმატის ცვლილების შედეგების გამოვლენას, მომზადებას და შემხვედრი ზომების განხორციელებას;
2. ბ. 40%;
3. ბ. ფეხით სეირნობა ან ველოსიპედის ტარება;
4. ბ. ექსტრემალური ამინდი ანადგურებს ან აზიანებს სკოლის შენობებს;
5. ა. 75-დან 5-მა;
6. გ. 5.7 მილიარდზე მეტი;
7. ა. ანტონიო გუტერაში, გაეროს გენერალური მდივანი;
8. ა. პროფესია, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას, დავიცვათ ან აღვადგინოთ გარემო;
9. გ. მასალები და პროდუქცია შეიძლება ხელახლა გამოყენებულ იქნეს ან გადამუშავდეს და შესაბამისად, დარჩეს ეკონომიკაში იმდენი ხნის განმავლობაში, რამდენიც შესაძლებელია;
10. ა. ასტიმულირებს ინვესტიციებსა და ინოვაციებსა და ქმნის სამუშაო ადგილებს;
11. 70%;
12. ბ. ესპანეთი;
13. ა. ნახშირბადის დიოქსიდი CO_2;
14. ბ. ოკეანეები ადამიანის მიერ გამოყოფილ CO2-ის 23%-ს შთანთქავს;
15. ბ. მცენარე კაკაო შეიძლება გადაშენდეს თუ გლობალური დათბობა არ შემცირდება;
16. ბ. რადგან კონფლიქტის გამწვავების დროს კლიმატის ცვლილების შედეგებმა შეიძლება გადაფაროს არსებული დაძაბულობა;
17. ბ. ყოველ 5 წელიწადში.

ვარიანტი N5

1. ა. ცხოვრება დღეში 1.94 $-ზე ნაკლები თანხით;
2. 8%;
3. ბ. საბანკო ბარათის ეკვივალენტს;
4. ა. იუნესკო - გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია;
5. ბ. კაცები სამუშაოს საძებნელად ემიგრაციაში მიდიან, ხოლო ქალები სოფლებში რჩებიან;
6. გ. დღეში 700 ბავშვი;
7. ა. შემცირდეს სათბურის აირების ემისიები ან მოხდეს მისი პრევენცია;
8. ა. ნახშირბადის შემცირება, რესურსების დაზოგვა და სოციალური ინკლუზია;
9. ბ. პირველადი ენერგიის მოხმარება ტოლია მშენებლობის პროცესში მოხმარებული ენერგიის;
10. ა. დარწმუნებულია, რომ სუფთა და ჯანსაღი გარემო ადამიანის უფლებების დაცვის ნაწილია;
11. ა. ქალაქი, სადაც საბაზისო სერვისები ხელმისაწვდომია 15 წუთში ფეხით ან ველოსიპედით სიარულით;
12. ა. ვინც არ ჭამს ცხოველურ პროდუქტებს;
13. ა. გაეროს მიერ ორგანიზებული რეგულარული ფორუმი, სადაც მიმდინარეობს დისკუსია კლიმატის პოლიტიკის შესახებ;
14. გ. 1 მილიონი წუთში;
15. ბ. სასოფლო-სამეურნეო ექსპანსია (პალმის ზეთი, მეცხოველეობის ფერმები და სოია);
16. ბ. გაეროს ჯარისკაცები და მოქალაქეები, რომლებიც მონიტორინგს უწევენ და აკვირდებიან მშვიდობის პროცესებს კონფლიქტურ ზონებში;
17. 2050 წლისთვის.